

სადოქტორო პროგრამის სახელწოდება: მოლეკულური მედიცინა (ინტერდისციპლინური),
Molecular Medicine

მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი : ბიოლოგიის დოქტორ/PhD in Biology

სპეციალობა: მოლეკულური მედიცინა

სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელები:

სრული პროფესორი ლავრენტი მანაგაძე,

სრული პროფესორი ნანა კოტრიკაძე

სადოქტორო პროგრამის საკვალიფიკაციო დახასიათება

პროგრამა “მოლეკულური მედიცინა” წარმოადგენს ინტერდისციპლინარულ პროგრამას, რომელიც შესრულდება თსუ ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტსა და მედიცინის ფაკულტეტზე. სადოქტორო პროგრამის მუშაობაში გაერთიანებულია თსუ ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ბიოლოგიის დეპარტამენტი და მედიცინის ფაკულტეტის უროლოგიის დეპარტამენტი.

ა) პროგრამის მიზანი:

- კლინიკური მედიცინის პრობლემების შესწავლა, კომპლექსური მკურნალობისა და პრევენციის გზების ძიება (კლინიკური მეცნიერებები, ქრონიკული დაავადებები და სიმსივნური პათოლოგიები), ასევე სიმსივნის უჯრედული და მოლეკულური მექანიზმების კვლევა (უჯრედული და მოლეკულური ონკოლოგია).
- მოამზადოს ბიოლოგი მეცნიერ-მკვლევარები, რომელთაც ექნებათ საფუძვლიანი ცოდნა მოლეკულურ მედიცინაში (უჯრედულ და მოლეკულურ ონკოლოგიაში), სპეციალიზირებული იქნებიან კიბოს მექანიზმების კვლევაში და გარკვეული იქნებიან აღნიშნული დაავადების ეტიო-პათოგენეზში, მიმდინარეობასა და მკურნალობაში.
- მოამზადოს ექიმი დოქტორანტები მოლეკულურ მედიცინაში, რომელიც გულისხმობს კლინიკური და ექსპერიმენტული უროლოგიის, ურონკოლოგიისა და ტრანსპლანტოლოგიის შესწავლას.

ამგვარად, სადოქტორო პროგრამის ძირითად ამოცანას წარმოადგენს ფუნდამენტური მეცნიერებების გამოყენება კლინიკაში, კერძოდ კი სკრინინგში, რისკის შეფასებაში, დიაგნოსტიკაში, პრევენციასა და თერაპიაში.

ბ) პროგრამის შედეგი:

- **ბიოლოგიისა და მედიცინის დოქტორანტები** გამოიმუშავენ სამეცნიერო ლიტერატურაზე მუშაობის, დისკუსიებში მონაწილეობის, საკითხთან კრიტიკული მიდგომისა და პრობლემის დამოუკიდებლად გადაჭრის, საკუთარი მოსაზრების საჯარო წარდგენისა და დასაბუთების უნარ-ჩვევებს, რაც მომავალში დამოუკიდებელი მუშაობისა და სამეცნიერო კვლევითი საქმიანობის გაგრძელების წინაპირობას წარმოადგენს.
- **მედიცინის დოქტორანტს** ექნება თეორიული ცოდნა სხვადასხვა ქრონიკულ დაავადებებში, სიმსივნურ პათოლოგიებში, უროლოგიურ დაავადებებში, ურონკოლოგიაში, შარდ-სასქესო ორგანოთა დაავადებების მოლეკულურ მექანიზმებში, ქირურგიული მკურნალობის ოპერაციულ მეთოდებში, რაც შესაძლოა გამოყენებულ იქნას სხვადასხვა დაავადებების დიაგნოსტიკისა და მკურნალობის საკითხების სრულყოფისათვის.
- **ბიოლოგიის დოქტორანტს** ექნება თეორიული ცოდნა სიმსივნის უჯრედულ და მოლეკულურ ბიოლოგიაში, უჯრედულ და მოლეკულურ ენდოკრინოლოგიაში. ექნება ცოდნა მოლეკულურ ჰემატოლოგიასა და ონკოლოგიაში, მოლეკულურ ფარმაკოლოგიაში. შეეძლება გარკვეული ცოდნა ადამიანის დაავადებების მოლეკულურ მექანიზმებზე,

ასევე იმ კლინიკურ მიდგომებზე, რაც შესაძლოა გამოყენებულ იქნას პრაქტიკაში, რათა გაადვილდეს სიმსივნეების პროფილაქტიკა, იდენტიფიკაცია და თერაპიული მიდგომა.

- **მედიცინისა და ბიოლოგიის დოქტორანტები** დაეუფლებიან ცოდნას ახალ სადიაგნოსტიკო ტექნოლოგიებში და შესძლებენ მათ გამოყენებას პრაქტიკაში.

გ) დასაქმების სფეროები

სადოქტორო პროგრამა “მოლეკულური მედიცინა” ამზადებს ფუნდამენტური და კლინიკური მედიცინის კვალიფიციურ სპეციალისტებს.

დოქტორებს შეძენილი ცოდნის რეალიზება შეუძლიათ:

- სამედიცინო პროფილის ყველა კლინიკურ-სადიაგნოსტიკო ცენტრებში, სამკურნალო დაწესებულებებში, კერძო სექტორში, ფარმაცევტულ კომპანიებში, სამკურნალო-პროფილაქტიკურ დაწესებულებებში, სხვადასხვა სახელმწიფო უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში.
- სხვადასხვა სახელმწიფო აკადემიურ და უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში, სამეცნიერო-კვლევით ლაბორატორიებში, გარემოს და ძველთა დაცვის უწყებებში, კერძო სექტორში, ფარმაცევტულ კომპანიებში, სამკურნალო-პროფილაქტიკურ, სანიტარულ-ეპიდემიოლოგიურ და დავადებათა კონტროლის დაწესებულებებში, სამედიცინო პროფილის ყველა კლინიკურ-სადიაგნოსტიკო ლაბორატორიებში.

პროგრამაზე მიღების წინაპირობები

პროგრამა მოქნილ ხასიათს ატარებს და შესაძლებელია გააერთიანოს სხვადასხვა სპეციალობის მაგისტრები ან დიპლომირებული სპეციალისტები, ძირითადად ბიოლოგები, მედიკოსები, ფიზიკოსები და ქიმიკოსები.

სადოქტორო პროგრამაზე მიღების წინაპირობებია:

- ინგლისური ენის ცოდნა ორივე პროფილის სპეციალისტებისათვის (B2 დონე);
- მედიკოსებისათვის – მაგისტრის ხარისხი მედიცინაში, შესაბამის ხარისხთან გათანაბრებული ექიმის დიპლომი ან რეზიდენტურის დამთავრების ცნობა და ექიმის ლიცენზია – მედიცინის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად (PhD)
- მედიკოსებისათვის - ადამიანის ანატომიის, ფიზიოლოგიისა და პათოფიზიოლოგიის საფუძვლების ცოდნა;
- ბიოლოგებისათვის - მაგისტრის ხარისხი ბიოლოგიაში, ფიზიკაში, ქიმიაში, შესაბამისი ხარისხი მედიცინაში ბიოლოგიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად.
- ბიოლოგებისათვის - კალკულუსის, ორგანული ქიმიის, ბიოქიმიის, ბიოფიზიკის, მოლეკულური და უჯრედული ბიოლოგიის საფუძვლების ცოდნა.

სამეცნიერო კვლევების მატერიალურ-ტექნიკური ბაზა

სადოქტორო პროგრამა “მოლეკულური მედიცინა” უჯრედული და მოლეკულური ონკოლოგიის მიმართულეა შესრულდება თსუ ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ბიოლოგიის ინსტიტუტში (პროფ. ნ. კოტრიკაძე და სიმსივნის ბიოლოგიის შემსწავლელი ჯგუფი), გამოყენებული იქნება ასევე თბილისის სახ. სამედიცინო უნივერსიტეტის – ბიოქიმიის დეპარტამენტის ბაზა. დოქტორანტები უზრუნველყოფილი იქნებიან საკვლევი ობიექტით (სისხლი, სიმსივნური ქსოვილი), პაციენტების ზუსტი დიაგნოზითა და კონსულტაციებით თსუ მედიცინის ფაკულტეტის უროლოგიის დეპარტამენტისა და უროლოგიისა ეროვნული ცენტრიდან.

ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი და თბილისის სახ. სამედიცინო უნივერსიტეტის – ბიოქიმიის დეპარტამენტი დოქტორანტს უზრუნველყოფს ყველა საჭირო აპარატურით.

სადოქტორო პროგრამა “მოლეკულური მედიცინა“ კლინიკური და ექსპერიმენტული უროლოგია, ურონკოლოგია, ტრანსპლანტოლოგია მიმართულება შესრულდება თსუ მედიცინის ფაკულტეტის უროლოგიის დეპარტამენტში (ხელმძღვანელი პროფ. თ. ჩიგოგიძე) და უროლოგიის ეროვნულ ცენტრში (გენ. დირექტორი. პროფ. ლ. მანაგაძე), სადაც მედიცინის პროფილის დოქტორანტიები უზრუნველყოფილნი იქნებიან საკვლევი ობიექტით, პაციენტის ზუსტი დიაგნოზითა და კონსულტაციებით, საჭირო აპარატურით.

სავარაუდო სამეცნიერო-კვლევითი თემატიკა:

1. ბიოლოგიისათვის - კანცეროგენული ტრანსფორმაციის მოლეკულური მექანიზმების (ჰორმონდამოკიდებული სიმსივნეები: სარძევე ჯირკვალი, საშვილოსნოს ტანი, პროსტატა) კვლევა, ახალი სადიაგნოსტიკო მეთოდების შემუშავება.
2. მედიკოსებისათვის - ქალისა და მამაკაცის საშარდე სისტემისა და მამაკაცის სასქესო ორგანოების სხვადასხვა დაავადებების განვითარების მექანიზმების კვლევა, ძველი და ახალი სადიაგნოსტიკო და მკურნალობის მეთოდების სრულყოფა.

მისაღები დოქტორანტების რაოდენობა

სადოქტორო პროგრამის “ მოლეკულური მედიცინა” თითოეულ მოდულზე – “კლინიკური და ექსპერიმენტული უროლოგია, ურონკოლოგია, ტრანსპლანტოლოგია” და “უჯრედული და მოლეკულური ონკოლოგია” შესაძლებელია მიღებულ იქნას მაქსიმუმ ორ-ორი დოქტორანტი.